

ნარჩენების მართვის საკითხებზე გუბერნატორის ადმინისტრაციაში მორიგი შეხვედრა გაიმართა

30 იანვარი 2018

არასამთავრობო - გარემოს დაცვითმა ორგანიზაციამ „ორქისი“ შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ნარჩენების მართვის საკითხებზე მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მომხსენებლებმა განიხილეს ნარჩენების მართვასთან საკანონმდებლო და საერთაშორისო მოთხოვნები. გუბერნატორის ადმინისტრაციის აპარატის უფროსის, ნათია ანთელავას თქმით, სამხარეო ადმინისტრაცია მუდმივად ახდენს მსგავსი შეხვედრების ორგანიზებას თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რეგიონში პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მიზნით. ანთელავას თქმით, სამხარეო ადმინისტრაცია შესაბამის სამსახურებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით გეგმავს სხვადასხვა ტიპის გარემოს დაცვითი აქტივობების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს ამ მხრივ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ვროპული გამოცდილების შესახებ და განიხილეს კონკრეტული ქვეყნების მაგალითები. შეხვედრა კითხვა პასუხისა და დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. მხარეები ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.